

წერილი ხელმძღვანელობას

2019 წლის 18 აპრილს გაფორმებული ხელშეკრულებით (N57) ჩვენ დაგვევალა თქვენი ორგანიზაციის ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს 2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებულ საანგარიშგებო პერიოდს. ამავდროულად, ჩვენ ავიღეთ პასუხისმეზლობა, რომ სამუშაოს დასრულების შემდგომ, შესაძლებელი იქნებოდა მოგვეზადებინა რეპორტი, წოდებული როგორც „წერილი ხელმძღვანელობას“, რაზეც გვექნება სურვილი რომ შპს „აღმოსავლეთ საქართველოს ფსიქიკური ჯამრთელობის ცენტრმა“ (შემდგომში „საზოგადოება“) გაამახვილოს ყურადღება:

- ჩვენ ბუღალტრული და შიდა კონტროლის სისტემები შევისწავლეთ და განვიხილეთ მხოლოდ იმ დონეზე რაც აუცილებელი იყო ფინანსური ანგარიშგებაზე დასკვნის წარსადგენად საჭირო აუდიტორული პროცედურების დასაგეგმად და არა იმ მიზნით, რომ შეგვეფასებინა შიდა კონტროლის ეფექტიანობა და ადეკვატურობა ხელმძღვანელობის მიზნების პოზიციებიდან;

- წარმოდგენილ ანგარიშში არ აისახება შიდა კონტროლის ყველა ნაკლოვანება, არამედ განიხილება მხოლოდ ის ნაკლოვანებები, რაც გამოვლინდა აუდიტორული შემოწმების ჩვეულებრივ პროცესში;

- წარმოდგენილი ანგარიში არ შეიძლება მიჩნეული იქნეს იმის გარანტიად, რომ შიდა კონტროლის სისტემაში არ არსებობს სხვა ნაკლოვანებები;

- ანგარიში განკუთვნილია მხოლოდ მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირთა ინფორმირებისათვის და მათ მიერ გამოსაყენებლად;

- ეს ინფორმაცია არ უნდა გაუმჟღავნდეს მესამე მხარეებს აუდიტორის წერილობით თანხმობის გარეშე, გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა;

- ჩვენ დამოუკიდებელი ვართ ჩვენი აზრის გამოხატვაში და არანაირი პასუხისმგებლობა არ გვეკისრება მესამე მხარეთა წინაშე;

როგორც აღვნიშნეთ ამგვარ რეპორტში, შესაძლოა ყველა ქმედება რაც დაკავშირებულია შიდა კონტროლის სისტემებთან არ იქნას გამოვლენილი, რადგან ჩვენი აუდიტი ძირითადად ხორციელდება იმისათვის რომ გამოვხატოთ ჩვენი მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ჩვენი აზრით ხელმძღვანელობამ უნდა გაამახვილოს შემდეგ საკითხებზე ყურადღება:

1. ნაწარმოები ბუღალტერიის შესახებ.

აუდიტის განხორციელებისას, აღმოჩენილი იქნა ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (IFRS) დარღვევა, რამაც შესაძლოა იქონიოს გავლენა სამეურნეო სუბიექტის სააღრიცხვო პოლიტიკასთან დაკავშირებულ საკითხებზე და მის სამეურნეო საქმიანობის შედეგებზე. კერძოდ:

- მიუხედავად იმისა სალაროში არ არის დიდი ოდენობით ნაღდი ფულის მოძრაობა, სალაროს გასავლის ორდერებზე რიგ შემთხვევაში არ ფიქსირდება ორმაგი ხელმოწერა, რიგ შემთხვევაში თანხის მიმღები არ აწერს ხელს და არაა სრულად შევსილი გასავლის ორდერი;

- საზოგადოების მიერ მოწოდებული ინფორმაციით ა/ანგარიში გახსნილი აქვს სს „საქართველოსბანკში“, რომლის ამონაწერი სრულად არაა გატარებული საბუღალტრო პროგრამაში და რიგ შემთხვევაში პროგრამულად ფიქსირდება უარყოფითი ნაშთი;

- საზოგადოება საქმიანობის პროცესში შეისყიდის და მოიხმარს მედიკამენტებს, პროდუქტებს და სხვა მარაგებს, რომელთა რაოდენობრივი აღრიცხვა (მიღება და ჩამოწერა) არ ხდება საბუღალტრო პროგრამაში და არც რაიმე სხვა ფორმით (ექსელი, სასაქონლო პროგრამა და ა.შ.) არის წარმოდგენილი;

- საზოგადოების მიერ გაწეული მომსახურების ანაზრაურება ხდება სახელმწიფოს მიერ. გაწეულ მომსახურებაზე ყოველთვიურად დგება მიღება-ჩაბარების აქტი. რაც კომპანიის მიერ წარმოდგენილი ვერ იქნა სრულად (არაა წარმოდგენილი 2017 წლის ივნისის და ნოემბრის თვეების მიღება-ჩაბარების აქტები და 2018 წლის ივნისიდან დეკემბრის თვის ჩათვლით მიღება-ჩაბარების აქტები), რომ დაგვედგინა კომპანიის ერთობლივი შემოსავლები და მოთხოვნები.

- საბუღალტრო პროგრამაში ძირითად საშუალებებზე 2017-2018 წლებში ცვეთა არაა დარიცხული, თუმცა ფინანსურ ანგარიშგებაში ფიქსირდება დარიცხული ცვეთა ;

- საზოგადოების მიერ შედგენილი 2017-2018 წლების ფინანსური ანგარიშგება არ ედრება საბუღალტრო კომპიუტერული პროგრამის მონაცემებს და იგი განსხვავებულია პრაქტიკულად ყველა მუხლში;

- წარმოდგენილი დოკუმენტებით 2018 წელს საზოგადოებას სურამის ფსიქიატრიულ საავადმყოფოში გაფორმებული აქვს ხელშეკრულებები 22 ფიზიკურ პირთან დროებითი სამუშაოების შესასრულებლად. რაზეც გადარიცხულია მათ პირად ანგარიშებზე ხელფასის სახით 72452,31 ლარი. ხელშეკრულებების მიხედვით შესასრულებელი სამუშაო მოცემულია თან დართულ „დანართ 1“-ში, რომელიც ვერ იქნა წარმოდგენილი. ასევე ვერ იქნა წარმოდგენილი მიღება-ჩაბარების აქტი შესრულებულ სამუშაოზე. ანუ ვერ ხდება შესრულებული სამუშაოს იდენტიფიცირება.

- სახელფასო დანამატები ძირითადად ფიქსირდება საზოგადოების მენეჯმენტზე;

- საბუღალტრო დოკუმენტებისათვის არაა გამოყოფილი შესაბამისი კარადა, არ ხდება დოკუმენტების დაარქივება არსებული წესით.

2. შიდა კონტროლის მექანიზმები.

საზოგადოებაში არაა დანერგილი შიდა კონტროლის მექანიზმი, რაზეც მიუთითებს ზემოთ ჩამოთვლილი დარღვევები და შესაძლოა საზოგადოებაში იკვეთებოდეს თაღლითობის რისკები.

საჭიროა საზოგადოებაში კონტროლის მექანიზმის ჩადება, რათა უზრუნველყოფილი იქნას აღრიცხვაში არსებული დარღვევების არ არსებობა.

პატივისცემით
კონსტანტინე კიკნაძე
გარიგების პარტნიორი

